



ნახ. თბილისი

გზა მილიონების

მშვიდობის დროში, სიმღერით
წინ შეუდრეკლად მიდიან,—
გზა ჩვენი მილიონების
საქვეყნო მაგალითია!

ხოლო ღიუპონ-მორგანის
და სხვათა მილიონები
უფსკრულში მიისწრაფვიან
ჩაგვრით, სიკვდილით, ომებით!

247 50
14/41
1

ს ი ა ს მ ი




ბრუზინის სუკათს

სახე მაცდური და პირფერული
აშუარად უჩანთ უკვე ყარალებს,—
და აი, თვადწინ ერთი ვედური
აქ ჩაცუცქულა და ცეცხლს აჩალებს!

ჩიჩინის სუკათს

სახე ნაოჭებს დაუფხაჭნია,
რადგან ოქტომბრის მტერია ძველი.
ბებურ ვეფაზე ახლაც აჩნია
მას ათას ცხრაას თვრამეტი წელი.



მოგეხსენებათ რა ფაცი-ფუცშია ყოველი ოჯახი ექვსი ნომბრის დღეს. ჩემთან ჯერ არ დამთავრებულიყო ბჭობა იმის შესახებ, ორი ინდაური გვეყოფოდა დღესასწაულისათვის, თუ მესამესთვისაც გამოგვესვა დანა ყელში, რომ მეზობელმა კარი კინალამ შემომატვრია: გინდა თუ არა უნდა მესტუმრო, და ჩამომივიდა, მთელი წლის უნახავი და, ახლა თუ არა მცემ პატივს, რა მეზობლობა იქნებაო.

სტუმარს, მეზობლოს დას, ჩაის ფაბრიკის ინჟინერს, მეც კარგად ვიცნობდი და უარის თქმა უზრდელობად ჩავთვალე...

მისალმება-მოკითხვის შემდეგ ჩვენი მხიარულება სტუმრების მოსვლამდე „მოპარულმა“ რამდენიმე ჩაის ჭიქამ უფრო გააძლიერა და ლაპარაკი ჩამოვარდა:

— დედამ მილალატა, დედამ, — თქვა მასპინძელმა, — ჩემი დაბადების დღე ჯერ არ გამოუტოვებია, წელს კი აშკარად მილალატა, მატარებელს დაეხვდი, არ ჩამოვიდა!

— ავად არ იყოს, ბიჭო, — შენიშნა თამარმა ძმას.

— ავად კი არა და, ხომ იცი მისი ამბავი, ჰასაკს არ ეპუება, ხანში შესვლის მიუხედავად არავის არ უნდა ჩამოუვარდეს. ახალგაზრდა გოგონებსაც კი ეჯობება, შრომობს, თავს არ ზოგავს. ისე ნაწყენი კი იქნება. კარგს იზამდი. რომ შეგველო და წამოგვეყვანა. მატარებლის გამოცვლა დაგჭირდებოდა, მეტი ხომ არაფერი! — ღიმილით უსაყვედურა დავითმა დას და მორიგი სადღერგძელო დაავიგინა. — და-ძმის კამათი კიდევ გაგრძელდებოდა, მასპინძელს რომ ახალი საქმე არ წამოეწყო:

— რახან ასეა, სანამ სტუმრები მოვიდოდნენ, დროით ვისარგებლოთ და წერილი მივწეროთ. ვუსაყვედუროთ, ჩვენს მეტი ვინ ჰყავს, რომ ასეთ ბედნიერ დღესაც არ გვინახულა... ჩემი დაბადების დღეს რომ თავი დავანებოთ, ხვალ ხომ საერთო ზეიმი, შეიდი ნომბერი!

— მივწეროთ, ახლავე მივწეროთ. — დაეთანხმა თამარი და საწერ-კალამი მოსალხენად გაწყობილ მაგიდაზე გაჩნდა. კამათი ახალმა გარემოებამ გააგრძელა:

— მე მივწერ. — თქვა დავითმა.
— როგორ, ჩემი დედა კი არ არის, თუ?
— ერთად მივწეროთ.
— მივწეროთ.

დავითმა ბოდიში მოიხადა, საუბარი დას მინდო და წერილის წერას შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ დედი სადმი მიწერილი დაუმთავრებელი ბარათი გადაგვიკითხა. თამარს, როგორც წესია, ცრემლები მოადგა თვალზე და „ტირილის“ ტემპის განვითარებას აპირებდა, რომ შემდეგ ადგილს არ შევეჩერებინეთ:

საყვარელო დედა, — წერდა დავითი მშობელს, — მართალია დიდი საყვედურის ღირსი ხარ, რომ შეილს ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა და ჩვეულებრივ არ ინახულე. მაგრამ შენი შეილის ამბავს რომ გაიგებ, შორს მყოფიც ორმაგი ზეიმის გუნებაზე დადგები. საქმე იმაშია, რომ შენი თამარი, რომელიც ახლა ჩემთან არის, იცრემლება და შენს ნახვას ნატრულობს, უკვე ლენინის ორდენოსანია. შენს მეორე შეილს დავითსაც არა აქვს მაინც და მაინც ცუდად საქმე. გულით გილოცავ, დედაჩემო. მართალია შენი ცხოვრების პირველი ნახევარი სიდუხჭირეში გაატარე, იმ შავ-ბნელ დროს უბრალო ადამიანს არ ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება და შენ, სწავლას მოკლებული ქალი, მხოლოდ კარგ დედათ დარჩი, მაგრამ მე და ჩემ დას იმედი გვაქვს, რომ სიბერის დროს მაინც მოგხხვევავთ სახელს...“

თამარმა უცბათ შეაჩერა:

— შენი წერილის რედაქცია არ მომწონს, — უთხრა ძმას. — ჯერ ერთი რა საჭიროა იმის თქმა, რომ დედამ ჩვენი საშუალებით უნდა მოიხვეჭოს სახელი. ეს ხომ თავისთავად იგულისხმება. მეორე, რატომ გასაგებად არ წერ, რომ შენ



საოქმობრო დილოზი

— მაშეკო, ოქტომბერი ყველგან ნომბერში მოდის?
— არა, შეილო, ოქტომბერი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოდის ხოლმე...

ქარხნის დირექტორად დაგაწინაურეს და მესამე, რაც მთავარია, ეგ წერილი ინდივიდუალურს უფრო ჰგავს, ვიდრე კოლექტიურს.

დავითი ჩაფიქრდა, თამარის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა, უტაქტო რედაქცია კახურს გადააბრალა და ბარათის დამთავრება სხვა დროისთვის უნდა გადაედო, რომ აივანი მისი ვაფიშვილის ხმაურმა გააყრუა:

— ბე-ბია მო-ვიდა!.. ბე-ბია მო-ვიდა!.. — იძახდა იგი და ასკინკილას უვლიდა.

ბარგი მეზობლებმა შემოიტანეს. ბებიამ სათითაოდ გადაკოცნა შეილები, შეილიშვილი და რძალი, დღესასწაული მოგვილოცა და იკითხა:

— როგორა ხართ, შეილებო, გენაცვალეთ, გაზეთებს კითხულობთ?

მადლობა გადაუხადეთ, ბებიას ჯანმრთელობა ვიკითხეთ. მან პასუხის ნაცვლად კვლავ კითხვა გვესროლა:

— რა ამბებია, შეილებო, ქვეყანაზე, გაზეთებს კითხულობთ?

საერთაშორისო მიმოხილვა სწრაფად გაუჟკეთეთ, მაგრამ რაკი ბებიამ ხელახლა იკითხა გაზეთებს კითხულობთ თუ არაო, დავითი შეესიტყვა:

— მაინც რა გაინტერესებს, რა უნდა იყოს, დედაჩემო, გაზეთში?

— რა ვიცი, შეილო, — თქვა ბებიამ, — შეიძლება ჯერ არც კი იყოს, მაგრამ, ალბათ, მალე იქნება. ქა, ორმოცდათხუთმეტი წლის ქალი ვარ, რაღა დროს ჩემი გმირობა იყო. ჩემი მოყვანილი ქარხალი აწონეს, კრებაზე გამომიყვანეს, მოსკოვს ჩემი ქალაქდები გაგზავნეს და სოციალისტური შრომის გმირი ხარო, მეუბნებიან...

დავითს სიხარულის ღიმილი მოერია, დედა გადაკოცნა, მიულოცა, დაუმთავრებელი ბარათი შეუმჩნევლად ჯიბეში ჩააცურა და ჩვენ გადმოგვხედა. ჩვენმა ხარხარმა, როგორც იტყვიან ხოლმე, ქერი ახადა ოთახს.

გ. ივანიშვილი



ჩვენი ქუჩის ახალი სურათი

წინანგის სპეციალური მშენებლის გასაუბრებელი კარტეტი

— ხედავთ? ქვევ კი ამტყვევდა და მტყვარს უტევს ხიდის ბურჯი...
— მეც აქ ვარ, მათთან ერთად, თბილისის ხატავს ჩემი ფუნჯი!

თუმცა ჩემი ამოცანა რთული არის...

— რთული? რატომ?
— ეს უსაზღვრო მშენებლობა სად დაგვით, რომ დაგვატოვებს?

რა ჩარჩოში ჩაგვტყდ ამდენ სარჩოებს ჩვენს სასუკველს, როცა თვითონ მშენებლობა ყველა ჩარჩოს გასცდა უკვე?

აბა, ერთი მთაწმინდიდან გახედე იმ ნაყაბარს, იმ მოღუნებს, ბაღებს, ხიდებს და პროსპექტებს ახალ-ახალს,

გადახედე იმ შუქის ზღვას, იმ ჩუქურთმებს, იმ შადრევნებს, ხუროთმოძღვრების მძღვარი მარშით ქოხმასხები რომ განდევნეს.

ეს დიდად სიმშონია, რომ ასწერო შესაფერავ,

კაცს რამდენი გზებია უნდა,— ვინ მოსახავს ამდენ ფერას?

თქვენი რა გიჭირთ: კადმის ნეკროტი ერთი ფერის მუღლით დასწერთ, მშეს პროსპექტზე ჩამოიტანთ, და ხარაოს ცაშვე ასწევთ!

მტკვარზე იტყვიით: „გავმანაში ზის“, და გვარყვენებით სანაპიროს: მის შრიალა ხეივანებში დაღვრილი შურმუნსს და საუბრობს!

და გვუმინდე ვინორი შუკას, დღეს პროსპექტად გადაჭრულს,— თქვენი მაკრატლით გაჭირდეს აგრეთ, ცხასრატყველით გაყავსირფულს!

ჩვენ ამ სიტყვებს ფერებში ვესოვთ და გვსურს წამიც არ დაგვარგოთ, რომ თბილისის ბრწყინებულად და ტილოზე ამოტყვარგოთ!

— ჩვენც ეს გვინდა, საოტეკომბორო ჩვენს გისურვებთ გამარჯვებას! და ვგვრნობთ თქვენი შუპირება სანიანგოდ არ დარჩება...
ს. შავლაშვილი

ჩვენი ქუჩის ძველი სურათი



ქართული
საბჭოთა

სახანადი

ადამიანის ბიოგრაფიას ჩვეულებრივ ასე უწყებენ: „მავანი და მავანი დაიბადა ამა და ამ წელს, ესა და ეს გზა განწლო, ასე და ასე დაფიცდა, ამა და ამ საფეხურს მიაღწია“ და სხვა და სხვა.
ერთი სიტყვით, ჩამოსთლიანი ამ დასმასურბულად ადამიანის ცხოვრებას ყველა საფეხურს და ამჟამებზე მისი ცხოვრებით. მშვენიერი ხერხია!
მეგობრებო ბიოგრაფია მარტო ადამიანებს როდი აქვთ: ყველა ქალაქს, მის ყველა ცოლს მშენობასაც აქვს თავისი ბიოგრაფია. აიღეთ ქალაქი, აღწერეთ ეს ბიოგრაფია და თქვენს თავსწინ მთელი ეპოქა გაიხილება. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენი უნის ერთი სახლის თავდასასაჯალმა, რომელიც ჩვენს თავსწინ დაიხდა, გაღამაზდა და ახლა ჩვენს თავსწინვე იჩივრება.“
— ვინ ჩაერავს ამ საწყასს, არ რატომ ჩაერავსო? — იტიხბათ თქვენი, რაკი ასეთი ცნობისმოყვარეობა გაეღვიბეთ თქვენში, ახლა მის ბიოგრაფიასაც ვაგაგნებთ: ეს იყო ამ სამი ათწლეულის წინათ, ჩვენს უბანს მავანის თავისებური, ძველებური იფიცი ფინაქკარავდა: შეხედავდით—ქუჩაზე ჰქონდა, ტროტუარები, ქვაფენილიც, სახუნებიც ერთმეორეს მიჰყვებოდა. მამაბაპური კრამიტს ალგა-ალგ

ხავს ელო, კელლებს ზოგან ბათქაში დაზარადა და გვერდებში უფარჯნეივით ხის სვეტები ჰქონდა შედგმული: კაცნი ვართ, უტყვ არ წაიტყვო.
ვიწრო ქუჩების სანახაობა ხომ ნამდვილ დილიად წარმოიდგებოდა: გათენებისას წყნარულ მენამხროთა სახელების ქარავანი გაიბმებოდა, მის რახაბით მიჰყვებოდა დროგები, ხოლო იფიციად ქუჩის „დასამშვენიელ“ ტრანსპორტს, რეზინისბორბლებთან გელსაც დაინახავდით.
წვიმის დროს ოლო-ოლო-ოლო ქვაფენილზე ტლახის გუბებში მიაშლაპუნდა თავზე თაბაწამოაღებული კინტო და ჩახრინწყული ხმით უტყვდა ვიწრო შუკებს: — ხურმა მყოფიდა, ხურ-მა, ხურ-მა-ა! — აი, ამ დილაში დაიბადა ეს სახლი. ამაღლდა, დაშვენიდა, აივნებითა და ფართო ფანჯრებით ამაყად გადმოხდა მთელს უბანს. ყველაფერი, რაც კი მის დაბადებულზე ჩვენს ქუჩას ამშვენიდა—დაჩრდილია, დაპატარავდა, ძველმანად გამოიხიბდა.
— აი, მესმის შენობა!—ალბაკებით ეუბნებოდით ერთმანეთს,—პირდაპირ დახატა აუკურობა!
— არა, რამისმიაღლა და!—პირდაპირ ფენიკლორის ეტოტება!

ჩვენი კება ზედმეტად იყო: სახლი თითქმის თვითონვე ამასობადა, თავს იწონებდა, ცო ჰქონდა აღარ მიაწვდა.
მეგრამ ით, თურმე ვისზე ყოფილა წინაქება „თავის კება კიტრად დღისო“. დილანს კი არ შერჩა მის თავმოწყობა. ჩვენი უნის „რეკონსტრუქციის“ საღებავი ჯერ რიგინად არც კი გახუნებულყო მის სვეტებზე, ჩვენი რაიონის საბინაო სამმართველოს ჩვეული უფრადღებობის შედეგად სახურავიდან ჩამოღწილი წვიმის წყალს მისი კედლები რიგინად არც კი დაეღობო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის გვერდით ახალი შენობა წამოდებოდა.
თანაც რა შენობა! მან სამაღლი საართული მაღლიდან დახედა და ჩამოსიყვანა, თითქმის თავისებურად ჩამოსიყვანა კილდე: — მეზობელი, მან დაბლა რა გაძლებინებს? ამოიხედე შევით, მაღლა ამოიწი, მზე და ჰაერი მანაც არ მოგე ნატარა!
კილდე მცირე ხანი გავიდა და ახლა ფენიკლორის მწვერვალიდან გადმოხდა კოწიწა ჩუქურთმიანმა პავლიონმა, შემდეგ შემოიხილან, ქვემოთმოდან, რაგვლე შემოუტრეს სახლს „კოწიწაბაბა“ სახლს. მიმოიხედა და რას ხედავს? მის შუპირებში მღერეკლო-მღერეკლო ძველი შენობები ვე-

ლარსად ნახა. მათ მაგიერ, ახლა სხვა ახალმა, ახოგანმა და მაღალმა შენობებმა ჩამოვლიდნენ შევით.

არა, გევაფივთ, ასე ყოფნა აღარ შეძლო. ადგა და კილდე ერთი საართული წამოიღდა თავზე, შეუჯებრა ახლებს, მაგრამ ვინ აიღოს? საითაც გაიხედავს, ახალ მტრებს ხედავს, ღრუბლებისკენ მიმავალ სარაობებში სხდებიან ისინი, კიალბენ, ბრწყინებენ, სახეს უტყვიან უბანს, ახალ თბილისს მათსუტყვებთან.

ასეთი გარემოცვაში „ჩივრება“ ეს საწყალი სახლი, გარშემო თავისი ტლიო აღარ ჰყავს, რამდენიმე ხუთწლეულამდე ალგაში მოაქცია, მწყაზარმა და ლამაზმა შენობებმა მხარი გაიხედა არა მარტო მის უბანში—მთელი თბილისი სივრცე-სივრცით დაიპყრეს, ახატ-ჩაბატეს, ჩიქურთმებით შორათეს. მისი პროსპექტები ხეივანებით ამოწოლეს და შეუთ აიცილეს.

ასეთი გარემოცვაში ამ „დაჩარული“ სახლის პატარა თავდასასაჯალი, რომლის დაწერა განვიხრახეთ, მაგრამ რომლის დამოაგრებაშიც ჩვენი დღეა-ღამეა მშენებლობის ხუთწლეული გეცოლებო.
სამოგონებთ ეუთობით, ის უკეთ დასწერს.



დიდხანს არ გაგრძელებულა სამი მეგობრის საუბარი. შეხვედრისთანავე გადასწყვეტეს საპურმარლოდ წასულიყვნენ სადმე.



— ისეთი ადგილი ვიცი, რომ უკეთესი არ შეიძლება, — თქვა ტიტკომ, — ოჯახში, ერთ შესანიშნავ ოჯახში წაგიყვანთ!

— უჰ! ოჯახში რა გვინდა, რას იტყვიან მასპინძლები უცნობები რომ მივალთ? — ვითომ დაირცხვინა ქეიფის მოყვარულმა კახამ.

— არა უშავს! წამოდით, დღეს მე გპატივებთ! — და ტიტკომ მეგობრებს წინ წაუძღვა. შემდეგ ტრამვაი მოიშველიეს და ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩასთან ჩამობტნენ.

ორიოდე სახლს ჩაუარეს და ტიტკომ შემდეგი სახლის კარებზე დააკაკუნა. კარები კობტად ჩარგვალეზულმა დიასახლისმა გააღო.



— აა! მობრძანდით, მობრძანდით, ჩემო ტიტკო! — მიხეხალისა ქალი, — სადა ხართ ამდენი ხანი, არა გრცხვენიათ! ისეთი ღვინო, ღოში და ჭიპა მაქვს რომ პირდაპირ...

კახას და მის ამხანაგს ნერწყვი მოადგათ.

— ბიჭოს! მართლა კარგ ოჯახში მოვსულვართ. — ჩაუჩურჩულა კახამ მეგობარს.

— გაიცანით! ესენი ჩემი მეგობრები არიან. — გააცნო ტიტკომ ამხანაგები.

ლამაზად მორთულ ბინაში შევიდნენ. რბილი სავარძლები, გრძელი მაგიდა და პიანინო ამშვენებდა ოთახს. დიასახლისმა დიდხანს ლაპარაკით არ მოაწყინა სტუმრები და მეორე ოთახში გაუჩინარდა.



— ვინ არის, კაცო, ეს ჩვენი მასპინძელი? — ჰკითხა კახამ ტიტკოს. — არ მეტყვი ვისთან ვართ?

— რა შენი საქმეა ვისთან ხარ, შენ ჭამე და დალიე, რამდენიც შეგიძლია! ნარდი ხომ არ ვითამაშოთ!

— მოიტა ერთი ხელი!

ნარდის თამაშში სუფრა გაიწყო. რა გინდა სულო და გულო, იქ არ დალაგა მასპინძელმა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მიიპატიჟა დიასახლისმა სტუმრები.

უკვე ღამდებოდა, როცა მეგობრები კარგა შეზარხოშებული იყვნენ. ტიტკომ პიანინოზედაც შემოსძახა „სულო ბოროტო“. კახამ დიასახლისს საუბარი გაუმართა:

— თქვენი ქმარი სად მსახურობს?

— ჩემი ქმარი? ჩემი ქმარი რაიონში მუშაობს! — ეშმაკური ღიმილით უპასუხა ქალმა.

— ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს, ქალბატონო შუშანა! — და კახამ ჩაის ჭიქა გადაკრა. — ასეთი პატივისცემა ჩემს დღეში არ დამავიწყდება, ასეთი სუფრა!

— როგორ გეკადრებათ, ხშირად მობრძანდით, ტიტკო ძალიან ხშირად მოდის ჩვენთან, თქვენც, იმედია, არ დაგვივიწყებთ უკეთეს სუფრას გაგიმართავთ; აი, მეორე კვირას მობრძანდით, საუცხოვო ღვინო და საცივი მექნება!

კახა ხელზე ემთხვია დიასახლისს და კვირა სალამოს დაპირდა მოსვლას.

მშვიდობის ღამე უსურვეს სტუმრებმა, მასპინძელს გამოეთხოვეს.

გულის ფანცქალით ელოდა კახა კვირა სალამოს. დადგა ეს დღეც. იგი დიდი თაიგულით შეიარაღდა; ტაქსი დაიჭირა და შუშანას ბინისკენ გაექანა. გულში



ეცინებოდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ მოწყვებოდა ტიტკოს ამ ღამის საამო თავგადასავალს!

აი ის სახლიც. კარები როგორც ღაბღაბუნდა, გულიც იმგვარადვე აუბრახუნდა. კარები მალე გაიღო და დიასახლისი კვლავ ალერსით მიეგება. კახამ დიდის ამბით მიაწოდა თაიგული და მიესალმა.

— რას წუხდებით, ღმერთო ჩემო! — გაიკვირვა შუშანამ. — მარტო ბრძანდებით?

— დიახ, მარტო! — ამაყად უპასუხა კახამ.

— მობრძანდით! მობრძანდით!..

კახა ნაცნობ ოთახში შევიდა. შუშანამ თაიგული პიანინოზე მოათავსა და კახას შეეკითხა:

— რას მიირთმევთ! ისეთი ღვინო ჩამოვიტანე, რომ... აბა თვითონ გასინჯეთ! — და დიასახლისმა მაგიდაზე ბოთლი დაუდგა. ბუფეტოდან სასაუზნო კერძები გადმოიღო, შემწვარი სულგუნი შემოიტანა და მათლაფით საცივი დადგა კახას წინ.

— აი, რომ გეუბნებოდით საცივი მექნება-მეთქი, ხომ არ მოგატყუეთ? მიირთვით! იქნებ კონიაკი დალიოთ მადისათვის! — კახას სული წაუვიდა საქმელების დანახვაზე, თან დიასახლისის გულუხვობამ გადარია.

— იცოდეთ, მე უთქვენოდ ლუკმას არ ჩავიდებ პირში, მობრძანდით! — მიიპატიჟა კახამ შუშანა.

— არა! გმადლობთ! მე მეორე ოთახში სტუმრები მყავს და ხომ იცით მომსახურება უნდა!

მართლაც მეორე ოთახში ვილაც ახალგაზრდები ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ. კახას არ ესია მოგონა, დიდხანს იცადა, მაგრამ ის სტუმრები წასვლას არ ჩქარობდნენ. კახამ ნახევარი ბოთლი კონიაკი დალია, ზედ ღვინოც დააყოლა და ფიქრებში წასულს ძილი მოერია.

— ჰე! ჩემი ლოდინი ამოა გამოდგა! სჯობია წავიდე! ეშმაკის კერძია ქალი!

წამოდგა ზეზე და დიასახლისი შემოვიდა თუ არა, ბოდიშით მიმართა:

— მე...

— კიდევ მიირთმევთ რამეს? — შეაწყვეტინა შუშანამ.

— არა! დიდად გმადლობთ! უნდა წავიდე!

— მაშ თქვენზე თექვსმეტი თუმანია, თქვენ და ტიტკო რომ იყავით, მაშინ თორმეტმანეთიანი ღვინო მქონდა, ახლა კი ეს ცოტა ძვირიანია და საცივიც ინდაურისა იყო, ხომ იცით, ბევრი ჯდება!

კახას ცივმა ოფლმა დაასხა. უცებ გამოფხიზლდა. თავი ხაფანგში მომწყვდეულივით იგრძნო. მიხვდა საშინელ საიდუმლოს. მუნჯივით იდგა ერთ ადგილას და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა.


— აბა, მალე, თქვენი ქირიმე! იქითაც მელოდებიან!

— როგორ! ფული უნდა გადავიხადო? მე სულ ოცი მანეთი მაქვს ჯიბეში! — წაილულულა კახამ.

— რაო? რაო? მაშ რა გეგონათ! ფული თუ არ გაქვთ, საათი დატოვეთ! ჩემო კარგო არა უშავს, შემდეგ შემოვივლით და ანგარიშს გავასწორებთ! — შუშანამ კახას საათი ააძრო გირაოდ და გარეთ გამოისტუმრა.

— თფუი! შენს ნამუსს, ტიტკო! თურმე მიკიტანთან მოუყვანივარ! ახია ჩემზე! — ბუზღუნებდა კახა და ბარბაცით მიჰყვებოდა თავდაღმართს...

დ. ნაცვლიშვილი



ნახ. ვ. ფირცხაღვასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




წიგნში ბევრი სიკეთეა,
თუ ერთგულად გამოიშვინი,—
აბა, ვის არ წაუკითხავს
ბესარიონ ჟღანგის წიგნი!
როცა გვაქვებს, გვიხარია,
ვამბობთ: არის ენა-თაფლა.
განა მხოლოდ წნიღს და წვნიანს,—
მწერლის შუბლსაც უყვარს დაუნა!

და როდესაც დადაფნული
მწერი იგი დაგა ბესოს წინა,
მადლიერი გულით ყველამ
ისევე ბესოს შემოსცინა.
ჩამოიხსნეს გვირგვინები,
დაუბრუნეს, უთხრეს ქებაც.
ბესო დატკბა და იმისი
კრიტიკული განრისხებაც...

აი, ასე განვიხილეთ
მისი წიგნი გასულ კვირას,—
ყბაშიაც რომ ჩაუვარდეთ,
ან ჩვენ ბესო არ გაგვტკვირავს,
რადგან იცის ხალხის სიბრძნე,
იცის, მუდამ ასე ხდება—
სიკეთე რომ ქვაზე დასდო,
გამოივლი, წინ დაგხვდება!

გიორგი შიგინაული

ორგვეარი უპირუჩაისობა



მშენებლობის ზოგიერთ უფროსს თავის კაბინეტში
ვერასოდეს ვერ ნახავ. იგი ხან ერთისა და ხან მეორე სახ-
ლის სახურავზეა ხოლმე. ქალაქებიც იქ მიაქვთ ხელმო-
საწერად.

ზოგიერთი მშენებელი კი, პირიქით, ცხეა ჩაკეტილი
ოთხკვედრში, რომ იძულებული ხდებიან საამშენებლო მასა-
ლა საუარბელთან მოუტანონ და აქ აჩვენონ თავისი მშენებ-
ლობის ვითარება.

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი,
უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატვირთო-იურისტული ჟურნალი „Нпаяги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 2/XI. სტამბა ზარია ვოსტოკა. რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2534. გამოც. № 109. ტირ. 11.000. უე17226



— ეს არის, გოგო, შადვა ფურცხვანიძე, მონინავე მეშახტე?
— დიახ, წელს, მგონი, სანოემბროდ ორი ხუთწლედის გეგმას ასრულებს.
— ჩვეულებრივი კაცი ყოფილა შესახედავად, — მე კი მეგონა დევკაცი იქნებოდა.
— მაგას, ჩემო დაო, რას გაუგებ, რაც ზევით არის, ათი იმდენი მიწაშია, — იქ
ანგრევს ნორმებს.